ც ნ ო ბ ა

საჯარო გაცნობისათვის
დოკუმენტების წარდგენის შესახებ

ადმინისტრაციული ორგანო, რომელშიც მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება და მისამართი – ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (მის: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25, მეორე სართული) მიმდინარეობს „კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების დადგენის თაობაზე“ შპს „გის და დზ საკონსულტაციო ცენტრი გეოგრაფიკის“ მიერ მომზადებული დოკუმენტაციის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ მოწონების (შეთანხმების) მიზნით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების გამოსაცემად.

ადმინისტრაციული ორგანო, სადაც შესაძლებელია ადმინისტრაციული წარმოების მასალების გაცნობა - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახური (მის: ქალაქი ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25, პირველი სართული, ტელ: 27 26 28).

ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მოკლე შინაარსი - განკარგულებით დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების დადგენის თაობაზე“ შპს „გის და დზ საკონსულტაციო ცენტრი გეოგრაფიკის“ მიერ მომზადებული დოკუმენტაციის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ მოწონების (შეთანხმების) მიზნით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

საკუთარი მოსაზრებების წარდგენის ვადა - განკარგულების პროექტის თაობაზე მოსაზრებების წარდგენის ვადა განისაზღვრა განკარგულების პროექტისა და ადმინის-ტრაციული წარმოების შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან 20 დღის ვადაში.